საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/376

ქ. ბათუმი ---- 14 სექტემბერი, 2020 წ.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულ სელჯან გაჯიევას ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის,47[3]-ე მუხლის, 52-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანების, ,,2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის №01-09/425 ბრძანების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად სერტიფიკატების გაცემის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 30 ივლისის №01-08/335 ბრძანების, სელჯან გაჯიევას 2020 წლის 30 ივლისის MES 3 20 0000646073 განცხადების, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 06 აგვისტოს MES 9 20 0000668804 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული სელჯან გაჯიევა **(პ/ნ 12001099267)** 2020-2021 სასწავლო წლიდან ჩაირიცხოს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

3. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი იქნეს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ - სელჯან გაჯიევასთან ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება, ხოლო სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ - სტუდენტურ პორტალზე ატვირთვა).
4. ბრძანება დაეგზავნოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა

დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს და სელჯან გაჯიევას, ასევე განთავსდეს მის პირად საქმეში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**